

საქართველოს კანონი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს
კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხლი 143) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „6“ პუნქტი:

„6“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებული პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში საადმინისტრაციო მომსახურების, მოსწავლეთა ზოგადი განათლების, საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსებას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი